ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2199478

ნომერი: AR1337009

თარიღი : 25.08.2015

გაცემის თარიღი : 21.09.2015

გაცნობის თარიღი : 21.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჭოხონელიძე პ/ნ 01007000662
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 2 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 25 აგვისტოს #AR1337009 განცხადებით მომართა თეიმურაზ ჭოხონელიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირება, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 25 ოქტომბერს #01.14.14.003.065 და #01.14.14.003.075 (ფართობი 4946 კვ.მ და 851 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე საოფისე ცენტრის განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: საოფისე ცენტრის ნაცვლად მრავალფუნქციული შენობის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) დაფიქსირებას. ამასთან, განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი (განცხადების რეგისტრაციის: #882015296720, მომზადების თარიღი: 02/06/2015 წ. ს/კ: #01.14.14.003.169) და საკადასტრო გეგმა (განცხადების რეგისტრაციის: #882015296720, მომზადების თარიღი: 01.06.15 წ.) საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია (საკადასტრო კოდი: #01.14.14.003.169, ფართობი – 6399.00 კვ.მ.), რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში.

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალება გაცემულია – განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონის პარამეტრებით და პირობებით. შესაბამისად, შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ობიექტის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალება გაცემულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში უნდა აისახოს ზემოაღნიშნული ცვლილებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ახალი საპროექტო ობიექტის, საკადასტრო ერთეულის, ფართობის და კონფიგურაციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #140 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითოს - 6399.00 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს - #01.14.14.003.169;
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებას დაემატოს ახალი ამონაწერი (განცხადების რეგისტრაციის: #882015296720,

მომზადების თარიღი: 02/06/2015 წ.) და საკადასტრო გეგმა (განცხადების რეგისტრაციის: #882015296720, მომზადების თარიღი: 01.06.15 წ.) საჯარო რეესტრიდან;
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს მრავალფუნქციული შენობა (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.